

N 770-02

26/02/2019

770-02-3-201902261013



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი ერზოწონაშვილს
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,
მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის
ინფრასტრუქტურის განყოფილების
უფროსი სპეციალისტის ვასილ აზარიაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ დამევალა შესასწავლად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსის, მარინა თედიაშვილის 2019 წლის 30 იანვარის (№292/02) მოხსენებითი ბარათი. გაცნობებთ, რომ საკითხი შესწავლილი იქნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტების მიერ.

დღეის მდგომარეობით, გაწვდით ინფორმაციას 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც ეხება, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის პროგრამით გათვალისწინებულ, გამოყოფილ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობის გამომწვევ მიზეზებს.

1. **საგზაო** ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯების გეგმა შეადგენდა 3 220 303 ლარს, ამ ეტაპზე ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 1 820 604 ლარს. შ.პ.ს. „კავკასავტომანგისტრალი“ აწარმოებს კახეთის, დოდაშვილის, არაყიშვილის ქუჩებისა და სოფელ პატარძელში გოგლა ლეონიძის

სახლმუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოებს. ასათვისებელი დარჩა 687 538 ლარი.

შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპი“ აწარმოებს ქ. საგარეჯოში პეტრე-პავლეს ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოებს. ასათვისებელია 281 590 ლარი.

სულ საგზაო ინფრასტრუქტურის ხაზით დარჩენილია 969 128 ლარი, რომლის ათვისებაც მოხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ.

2. გარე განათების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯები გეგმით შეადგენდა 257 573 ლარს, ამ ეტაპზე ათვისებულია 168 716 ლარი.

შპს „მარდი“-მ შეასრულა, ქ.საგარეჯო-ნინოწმინდის საავტომობილო გზაზე, გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ათვისებულია 33 164 ლარი, ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას რომლის წარმოდგენის შემდეგ მოხდება დარჩენილი 39 719 ლარის ჩარიცხვა.

შ.პ.ს „ალგო 2000“-ის მიერ მოხდა, სოფელ მანავში, სოფელ თოხლიაურში, სოფელ გიორგიწმინდაში, სოფელ ხაშში და სოფელ უჯარმაში გარე განათების მოწყობა. შესრულებულ სამუშაოების ღირებულება შეადგენს 21 788 ლარს, ამ ეტაპზე სამუშაოები დასრულებულია.

სულ გადასარიცხია, გარე განათების 61 507 ლარი.

3. კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების გეგმა შეადგენდა 287 462 ლარს, ფაქტიურად ათვისებულია 183 041 ლარი.

დღეის მდგომარეობით ს.ს. „კავკასიავტომაგისტრალი“ აწარმოებს ქ.საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებს, რომლის დამთავრების შემდეგ მოხდება 181 379 ლარის ჩარიცხვა.

4. სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯების გეგმა შეადგენდა 983 981 ლარს, ამ ეტაპზე ათვისებულია 648 667 ლარი.

უ.ს.ფ. „კლასიკ-სტროი“ აწარმოებს ქ.საგარეჯოს ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, დარჩენილია 260 449 ლარის სამუშაოები, რომლის ათვისებაც მოხდება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ.

5. ხეების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდის ხარჯების გეგმა შეადგენდა 12 057 ლარს.

სამუშაოები არ შესრულებულა, რადგან ტენდერი ჩაიშალა.

6. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯი, გეგმით შეადგენდა 1 085 757 ლარს. ფაქტიურად ათვისებულია 332 203 ლარი.

სოფელ კაკაბეთის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის ჩატარებული სამუშაოების ასანაზღაურებლად ჩარიცხულია 23 069 ლარი, სამუშაოები არ დასრულებულა დარჩენილია 65 099 ლარის სამუშაოები. სამუშაოებს აწარმოებს შ.პ.ს „ნერჯი“.

ქ. საგარეჯოს №5 ბაღის სარემონტო სამუშაოების შესრულებისთვის ჩარიცხულია 74 273 ლარი, სამუშაოები არ დამთავრებულა, დარჩენილია 272 644 ლარის ღირებულების სამუშაოები. სამუშაოებს აწარმოებს უ.ს.ფ. „კლასიკ- სტროი“.

სოფელ კოჭხანის ბაღის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 188 081 ლარს, ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები, თანხა მთლიანად ასათვისებელია. სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. დავით კავთუაშვილი.

ქ. საგარეჯოს №1, №2, №6, სოფელ ნინოწმინდისა და სოფელ წყაროსთვის ბაღების სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 55 868 ლარს, ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს, თანხა მთლიანად ასათვისებელია. სამუშაოებს აწარმოებს შ.პ.ს „ბურჯი 2008“.

ქ. საგარეჯოს №3, სოფელ პატარძელის №1 და №2, სოფელ პატარა ჩაილურის და სოფელ ხაშმის საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 46 019 ლარს, ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები, თანხა მთლიანად ასათვისებელია. სამუშაოებს აწარმოებს შ.პ.ს „მაია“.

სულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 627 702 ლარს.

დანართი 1 ფურცლად.

პატივისცემით:

ვასილ აზარიაშვილი

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ინფრასტრუქტურის განყოფილება